



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

030487333573213

KA030487333573213

№ 04-69/ო

26 / თებერვალი / 2013 წ.

2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ამბულატორიული მომსახურების კომპონენტით მოსარგებლეთა რეგისტრაციისათვის საჭირო თანხმობის ფორმისა და მისი შევსების წესის დამტკიცების თაობაზე

„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილებით (შემდგომში–დადგენილება) დამტკიცებული „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ (შემდგომში–პროგრამა) მე-4 და 23-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, ამბულატორიული მომსახურების კომპონენტით მოსარგებლეთა რეგისტრაციის პროცესის ორგანიზებული და კოორდინირებული წარმართვის მიზნით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ–სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს:

- ა) 2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ამბულატორიული მომსახურების კომპონენტით მოსარგებლეთა რეგისტრაციისათვის საჭირო თანხმობის ფორმა (დანართი N1– შემდგომში თანხმობა);
- ბ) „2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ამბულატორიული მომსახურების კომპონენტით სარგებლობისათვის შესაბამის მიმწოდებელთან რეგისტრაციის მიზნით, მოსარგებლის თანხმობის ფორმის შევსების წესი“ (დანართი N2 – წესი).

2. სააგენტოს ადმინისტრაციამ (გ. გოგოლაძე), საჯარო გაცნობის მიზნით, უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანებისა და მისი დანართების განთავსება სააგენტოს ვებგვერდზე – www.ssa.gov.ge, 2013 წლის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის თაობაზე ინფორმაციასთან ერთად.

3. სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების უფროსებს დაევალოთ:

ა) უზრუნველყონ პროგრამის ამბულატორიული მომსახურების კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების შესაბამის მიმწოდებელთათვის ამავე კომპონენტით მოსარგებლეთა რეგისტრაციის თანხმობის ფორმის და წესის ხელმისაწვდომობა;

ბ) ბრძანების საფუძველზე, გამოყონ მათ დაქვემდებარებაში მყოფი სააგენტოს თანამშრომელი, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის მიმწოდებელთა ინფორმირებას კომპონენტით მოსარგებლეთა რეგისტრაციის თანხმობის ფორმის შევსებასთან დაკავშირებით.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს დირექტორის მოადგილეს, კახა ხელაძეს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო,
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ნოე ქინქლაძე

